

"ადგილობრივი და რეგიონალური დემოკრატიის მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიაში"
30 ნოემბერი - 1 დეკემბერი 2010 წელი. დაფინანსებულია ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა კონგრესის, სამხრეთ ევროპის ადგილობრივი თვითმმართველობების ასოციაციების ქსელის და გერმანიის ტექნიკური დახმარების ოფისის მიერ

აღნიშნული კონფერენცია წარმოადგენს 2009 წელს ქუთაისში გამართული კონფერენციის გაგრძელებას, რომელიც ასევე ორგანიზებული იყო კონგრესის, სააგენტოების ასოციაციისა და ადს საქართველოს მიერ. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებმა. ასევე მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს ექსპერტები და ხელმძღვანელი პირები.

კონფერენცია მონაწილეებმა შეაჯამეს მიმდინარე წელს გაწეული საქმიანობები და მიიღეს ახალი სამომავლო საქმიანობების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობისა და დემოკრატიის განვითარებას რეგიონში.